

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს

გაცნობებთ, რომ შპს „ნიშნული“-ს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის, სოფ. ზედა მესხეთის ტერიტორიაზე მოწყობილი აქვს ასფალტის ქარხნა. საწარმოს მოწყობა- ექსპლუატაციის პროექტმა 2016 წელს გაიარა ეკოლოგიური ექსპერტიზა, რის საფუძველზეც 2015 წლის 05 აგვისტოს გაცემული იქნა N43 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

მიმდინარე წლის 26 ივნისს კომპანიამ მიმართა სამინისტროს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით. 2020 წლის 03 ივლისის N2-566 ბრძანებით, შპს „ნიშნული“-ზე გაცემული იქნა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, ქვეყანაში შექმნილი ბიტუმის დეფიციტის გამო, აუცილებელი გახდა, დამატებითი ბიტუმსაცავი რეზერვუარების მოწყობა.

დამატებით დაიგეგმა 9 ერთეული ბიტუმის სამარაგო რეზერვუარის დადგმა, თითოეული ავზის მოცულობა შეადგენს 50 მ³-ს, ჯამური მოცულობა 450 ტ.

რადგან, საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა“, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად, მომზადებული იქნა სკრინინგის განაცხადი.

დანართი: სკრინინგის განაცხადი, ელ ვერსია.

პატივისცემით
მ. ყიფიანი
დირექტორი



შპს „ნ ი შ ნ უ ლ ი“

(წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ზედა მესხეთის მიმდებარე ტერიტორია)

ასფალტის საწარმოს

სკრინინგის განაცხადი

წყალტუბო 2020

შინაარსი

1. შესავალი	3
2. მდებარეობა	4
3. საწარმოს მუშაობის რეჟიმი	5
4. ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ელემენტები და ტექნოლოგიური პროცესი.....	5
5. წყალმომარაგება კანალიზაცია	7
6. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ფუნქციონირების პროცესში.....	8
6.1. ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება	8
6.2. ხმაურის ზემოქმედება.....	11
6.3. ზემოქმედება ლანდშაფტზე	11
6.4. ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე	11
6.5. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები	11
6.6. ზემოქმედება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე.....	12
6.7. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე 12	
6.8. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება	12
6.9. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე.....	12
6.10. კუმულაციური ზემოქმედება	12
დანართები	13
დანართი 1. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.	14
დანართი 2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.....	20

1. შესავალი

შპს „ნიშნული“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი 412693633), წყალტუბოს მუნიციპალიტეტის, სოფ. ზედამესხეთის ტერიტორიაზე მოწყობილი აქვს ასფალტის ქარხნა. საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტმა 2016 წელს გაიარა ეკოლოგიური ექსპერტიზა, რის საფუძველზეც 2015 წლის 05 აგვისტოს გაცემული იქნა N43 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (დანართი N1).

მიმდინარე წლის 26 ივნისს კომპანიამ მიმართა სამინისტროს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

2020 წლის 03 ივლისის N2-566 ბრძანებით, შპს „ნიშნული“-ზე გაცემული იქნა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (დანართი N2).

საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, ქვეყანაში შექმნილი ბიტუმის დეფიციტის გამო, აუცილებელი გახდა, დამატებითი ბიტუმსაცავი რეზერვუარების მოწყობა.

დამატებით დაიგეგმა 9 ერთეული ბიტუმის სამარაგო რეზერვუარის დადგმა, თითოეული ავზის მოცულობა შეადგენს 50 მ³-ს, ჯამური მოცულობა 450 ტ.

რადგან, საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა“, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად, მომზადებული იქნა სკრინინგის განაცხადი.

ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში1.

ცხრილი N1.

ქარხნის ოპერატორი კომპანია	შპს „ნიშნული“
კომპანიის იურიდიული მისამართი	წყალტუბო, სოფ. ზედა მესხეთი
საწარმოს მისამართი	წყალტუბო, სოფ. ზედა მესხეთი
საქმიანობის სახე	ასფალტის წარმოება
დირექტორი	მერაბ ყიფიანი
საკონტაქტო ტელეფონი	5 51 49 81 49
გარემოს დაცვის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი	ირინე ლომინაძე მაია აბუთიძე
საკონტაქტო ტელეფონი	5 91 11 92 13 5 58 73 49 99

2. მდებარეობა

შპს „ნიშნულის“ ასფალტის ქარხანა განთავსებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფ. ზედა მესხეთის მიმდებარედ, შპს „ნიშნულის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N29.12.38.817).

საწარმოს ტერიტორიას დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება ქუთაისი-გეგუთის 4 ზოლიანი ავტომაგისტრალი, ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და სამხრეთით კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. აღმოსავლეთი 100 მ-ში ჩამოედინება მდ. რიონი.

საწარმოდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი განთავსებულია სამხრეთით, 1 200 მ-ის დაშორებით. უახლოესი საწარმო ობიექტი შპს „ნიას“ ინერტული მასალებისა და ბეტონის წარმოება, განთავსებულია ჩრდილოეთით 765 მ-ის დაშორებით.

საწარმოს ტერიტორიაზე შესასვლელი მოწყობილია დასავლეთის მხრიდან. საწარმოს განთავსების სიტუაციური გეგმა მოცემულია ნახაზი N1-ზე.



ნახაზი N1. საწარმოს განთავსება

3. საწარმოს მუშაობის რეჟიმი

საწარმოს მუშაობის რეჟიმი წელიწადში 260 დღე, ერთცვლიანი გრაფიკით. ცვლის ხანგრძლიობა 8 საათია. სულ წელიწადში 2 080 საათი.

ბიზნეს-გეგმის შესაბამისად, საწარმოს საპროექტო წარმადობა შეადგენს 120 ტ/სთ და 249 600 ტ/წელ სხვადასხვა მარკის ასფალტს.

საწარმოში დასაქმებულია 10 ადამიანი.

4. ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ელემენტები და ტექნოლოგიური პროცესი.

ასფალტის ქარხანა შედგება ასფალტშემრევისა და ბიტუმის შესანახი და მოსამზადებელი რეზერვუარებისაგან.

ბიტუმის შემოტანა ხდება ავტოციტერნით, რეზერვუარებში ჩატვირთვა ზეთის გამაცხელებლით, რომელიც ხურდება ბუნებრივი აირის წვის ხარჯზე. რეზერვუარებში ბიტუმის გაცხელება ასევე ხდება ბუნებრივი აირის წვის შედეგად, თითოეულ რეზერვუარს მოწყობილი აქვს მფრქვევანები და წვის კამერები. მუშა ტემპერატურამდე გაცხელებული ბიტუმი ასფალტშემრევს მიეწოდება ბიტუმსატარი სისტემით, რომელიც ასევე წინასწარ ცხელდება ზეთიანი გამაცხელებლით, ბუნებრივი აირის წვის ხარჯზე.

ასფალტშემრევი დანადგარი შედგება ინერტული მასალების მიმღები, საშრობი და მიმწოდებელი განყოფილების, აირგამწმენდი სისტემის, ფილერის სილოსის, ასფალტშემრევისა და შხა ასფალტნარევის ჩატვირთვის მოწყობილობისაგან. დანადგარის მართვა ექსპლუატაცია ხდება ელექტრონული მართვის ფარიდან.

ინერტული მასალები ბუნკერდოზატორებში მიეწოდება მიმდებარედ განთავსებული ქვიშა-ხრემის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოდან. ბუნკერებიდან ქვიშა და ფრაქციული ღორღი იყრება ტრანსპორტიორის ლენტაზე და მიეწოდება საშრობ დოლს. საშრობი დოლი ხურდება ბუნებრივი აირის წვის ხარჯზე.


საშრობიდან მშრალი ინერტული მასალა იყრება ცხავეზზე, იყოფა ფრაქციებად სასწორ დოზატორებით და საჭიროების შესაბამისად მიეწოდება ასფალტშემრევს. შემრევში ემატება მინერალური ფხვნილი და გაცხელებული ბიტუმი. შერევის პროცესის დასრულების შემდეგ ასფალტნარევი იყრება ჩასატვირთ-განსატვირთ ბუნკერში, რომლიდანაც იყრება ავტოთვიტმცლელების ძარაზე.

საშრობი დოლიდან გამოყოფილი აირმტვერნარევი მიეწოდება მტვერდამჭერ დანადგარს, სახელურიან ფილტრებს, საიდანაც ატმოსფეროში გაიტყორცნება მილით. მტვერდამჭერში დაჭერილი მტვერი გროვდება ბუნკერებში, საიდანაც ხრახნული კონვეიერით გადადის მინერალური ფხვნილის სილოსში.

მინერალური ფხვნილის შემოტანა ხორციელდება ავტოცემენტშიდებით, სილოსში ჩატვირთვა პნევმატური ტუმბოს საშუალებით, რისთვისაც დანადგარის გვედით დადგმულია კომპრესორი. სილოსი განთავსებულია ასფალტშემრევის გვედით.

ასფალტის დანადგარის ტექნოლოგიური სქემა მოცემულია ნახაზზე N2-ზე.

ასფალტის წარმოების სქემა




ნახაზი N2. გზშ-ს მიხედვით გათვალისწინებული სქემა.

ქვეყანაში შექმნილმა ბიტუმის დეფიციტმა საწარმო დააყენა ბიტუმის მარაგის შექმნის აუცილებლობის წინაშე. ამიტომ, საწარმომ გადაწყვიტა დამატებით მოაწყოს 9 მიწისზედა ბიტუმის რეზერვუარი, ჯამური მოცულობით 450 მ³ (თითოეული 50 მ³-ის მოცულობის), რომლებიც გამოიყენებული იქნება ნედლეულის მომარაგებისათვის. რეზერვუარებზე დამონტაჟდება ბიტუმის გაცხელების სისტემა, რომლითაც რეზერვუარებში მოხდება ბიტუმის გაცხელება და გადადინება სახარშ ავზებში, საიდანაც ტუმბოს საშუალებით მიეწოდება ბიტუმსახარშ რეზერვუარს.

ზემოაღნიშნული ცვლილებების მიუხედავად, არ შეიცვლება ტექნოლოგიური ჯაჭვის სქემა, მუშაობის რეჟიმი, წარმადობა და სხვა ტექნიკური პარამეტრები.

ექსპლუატაციის პირობების შეცვლით მიღებული ასფალტის წარმოების სქემა მოცემულია ნახაზზე N3.

ასფალტის წარმოების სქემა



ნახაზი N3.

როგორც მე-2 და მე-3 ნახაზზე მოცემული სქემებიდან ჩანს, გზშ-ს ანგარიშით გათვალისწინებულ და ექსპლუატაციის პირობების შეცვლით მიღებულ ტექნოლოგიურ სქემებს შორის პრინციპული განსხვავება არ არის. იცვლება მხოლოდ ბიტუმის სამარაგო ავზების რაოდენობა და ჯამური მოცულობა.

5. წყალმომარაგება კანალიზაცია

როგორც, გზშ-ს ანგარიშშია აღწერილი, საწარმოში წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით. ტექნოლოგიაში წყალი საჭირო არ არის. სასმელად გამოიყენება ბოთლებში ჩამოსხმული წყალი, საყოფაცხოვრებო მიზნით ტერიტორიაზე არსებული ჭის წყალი. რომელზედაც აღებულია სათანადო ლიცენზია.

საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩამდინარე წყლებისათვის მოწყობილია საასენიზაციო ორმო.

6. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ფუნქციონირების პროცესში

დამატებითი ბიტუმსაცავი რეზერვუარების მოწყობით, გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება განხილულია შემდეგი მიმართულებებით: ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობაზე შესაძლო ზემოქმედება; ხმაურის გავრცელება; ნიადაგის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების მოსალოდნელი დაზიანებები; ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება; ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედება და სხვა.

6.1. ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება

გზმ-ს ანგარიშისა და პროექტირებული ტექნოლოგიური დანადგარების გათვალისწინებით საწარმოს შემუშავებული აქვს ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი, რომელიც შეთანხმებულია სამინისტროს შესაბამის სამსახურთან.


ზდგ-ს პროექტის თანახმად, ინვენტარიზებულია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფის 14 წყარო, რომლებიც დატანილია ნახაზი N4-ზე:

1. ასფალტის დანადგარი (გ-1);
2. ბიტუმის საცავები (გ-2, გ-3, გ-4, გ-5, გ-6, გ-7, გ-8, გ-9);
3. ბიტუმის ტრანსპორტირებისათვის ზეთის გამაცხელებელი (გ-10);
4. ავტოცისტერნაში ბიტუმის გაცხელება (გ-11);
5. ინერტული მასალის ბაქანზე ჩამოცლა და დასაწყობება (გ-12);
6. ინერტული მასალის ასფალტის ქარხნის ბუნკერებში ჩაყრა (გ-13);
7. ინერტული მასალის ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილება (გ-14).

გზმ-ს ანგარიში და ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი მომზადებულია შემდეგი პარამეტრების გათვალისწინებით.

ცხრილი N2

მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე	1 200 მ.
ეკონომიკური საქმიანობის სახე	ასფალტის წარმოება
გამომშვებული პროდუქციის სახეობა	ასფალტი
საპროექტო წარმადობა	120 ტ/სთ. 249 600 ტ/წ
ნედლეულის სახეობა და ხარჯი	ღორღი-100 100ტ, ქვიშა-127 400 მინერალური ფხვნილი- 16 250 ტ; ბიტუმი 19 500 ტ,
საწვავის სახეობა და ხარჯი (სატრანსპორტო საშუალებების მიერ გამოყენებულის გარდა)	ბუნებრივი აირი- 2 589 600 მ ³ /წელ
სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში	260
სამუშაო საათების რაოდენობა დღე-ღამეში	8



ნახაზი N4. არსებული გაფრქვევის წყაროები

სამინისტროსთან შეთანხმებული ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის შესაბამისად, ბიტუმსაცავი რეზერვუარებიდან მავნე ნივთიერებების გაფრქვევის ანგარიშის თანახმად, საწარმოში წლიურად მოსახარში ბიტუმის რაოდენობა შეადგენს 16 250 ტ. საწარმოს გზმ-ს ანგარიშით გათვალისწინებული აქვს 8 ბიტუმის რეზერვუარი, თითოეულში პირობითად განთავსდება 2 031,25 ტ ბიტუმი.

თითოეულიდან გაფრქვეული ნახშირწყალბადების რაოდენობა იქნება:

$$G = 2031,25 \text{ ტ.} \times 1 / 10^3 = 2,031 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 2,031 \times 10^6 / 2080 \times 3600 = 0,271127 \text{ გ/წმ.}$$

ბიტუმის რეზერვუარებიდან ჯამური გაფრქვევა იქნება:

$$G = 16250 \times 1 / 10^3 = 16,25 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 16,25 \times 10^6 / 2080 \times 3600 = 2,17 \text{ გ/წმ.}$$

ექსპლუატაციის პირობების შეცვლილით, რაც გამოიხატება 9 ბიტუმის სამარაგო რეზერვუარის დამატებით, მოსალიდნელია შემდეგი ცვლილებები:


საწარმოს მავნე ნივთიერებების გამოყოფის ორგანიზებულ წყაროებს დაემატება 9 გამოყოფის წყარო ბიტუმის გაცხელება სამარაგო რეზერვუარებში, რომელიც სახეობრივად და რაოდენობრივად არ შეცვლის საწარმოდან გამოყოფილი მავნე ნივთიერებებს, რადგან

საწარმო არ ზრდის წარმადობას, შესაბამისად მიიღებს, შეინახავს, გააცხელებს, მოხარშავს და გამოიყენებს იგივე რაოდენობის (19 500 ტ) ბიტუმს. ამასთან ბიტუმის გადმოტვირთვას ესაჭიროება იგივე დრო. არ იცვლება საწვავის სახეობა და ხარჯი. მოხარშვა მოხდება იგივე რეზერვუარებში, რომელშიც გათავლისწინებულია გზმ-ს ანგარიშით.

რეზერვუარების დამატების შემდეგ მოსალოდნელია შემდეგი გამოყოფის წყაროების არსებობა:

1. ასფალტის დანადგარი (გ-1);
2. ბიტუმის საცავები (გ-2, გ-3, გ-4, გ-5, გ-6, გ-7, გ-8, გ-9, გ-10, გ-11, გ-12, გ-13, გ-14, გ-15, გ-16, გ-17, გ-18);
3. ბიტუმის ტრანსპორტირებისათვის ზეთის გამაცხელებელი (გ-19);
4. ავტოცისტერნაში ბიტუმის გაცხელება (გ-20);
5. ინერტული მასალის ბაქანზე ჩამოცლა და დასაწყობება (გ-21);
6. ინერტული მასალის ასფალტის ქარხნის ბუნკერებში ჩაყრა (გ-22);
7. ინერტული მასალის ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილება (გ-23).

ექსპლუატაციის პირობების შეცვლის შედეგად გაფრქვევის წყაროების რაოდენობა და განლაგება მოცემულია ნახაზზე N5.



ნახაზი N5.

ბიტუმის რეზერვუარების დამატების პირობებში, საწარმოში წლიურად მოსახარში ბიტუმის რაოდენობა შეადგენს 16 250 ტ. დადგმული იქნება 17 ბიტუმის რეზერვუარი, თითოეულში პირობითად განთავსდება 955,88 ტ. ბიტუმი.

თითოეულიდან გაფრქვეული ნახშირწყალბადების რაოდენობა იქნება:

$$G = 955,8 \times 1 / 10^3 = 0,95588 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 0,95588 \times 10^6 / 2080 \times 3600 = 0,127 \text{ გ/წმ.}$$

სულ ბიტუმის რეზერვუარებიდან ჯამური გაფრქვევა იქნება:

$$G = 16250 \times 1 / 10^3 = 16,25 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 16,25 \times 10^6 / 2080 \times 3600 = 2,17 \text{ გ/წმ.}$$

ზემოაღნიშნულიდან ნათვალდ ჩანს, რომ საწარმოში განხორციელებული ექსპლუატაციის პირობების შეცვლით, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მომატებას ადგილი არ ექნება, გაიზრდება მხოლოდ გამოყოფის წყაროების რაოდენობა.

6.2. ხმაურის ზემოქმედება

როგორც გზმ-ს ანგარიშში იყო განხილული, უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს საპროექტო საწარმოდან 1 200 მ-ის დაშორებით, ამდენად საწარმოს მუშაობისას წარმოქმნილი ხმაური ვერ მოახდენს უარყოფით გავლენას მოსახლეობაზე.

საწარმოს ტექნოლოგიური რეჟიმის ცვლილება არ გამოიწვევს ხმაურის მომატებას, რადგან არ ემატება ტექნოლოგიური დანადგარი, რომელმაც შესაძლებელია გამოიწვიოს ხმაური.

6.3. ზემოქმედება ლანდშაფტზე

რეზერვუარების მოწყობა განხორციელდება არსებული რეზერვუარების მიმდებარედ, მოქმედი საწარმოს ტერიტორიაზე, ამასთან საქმიანობის განხორციელების ტერიტორია ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედების ძირითადი რეცეპტორებისთვის (მოსახლეობა, ცენტრალურ საავტომობილო გზაზე მოძრავი მგზავრები) შეუმჩნეველია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დამატებითი ავზების მოწყობა არსებულ ლანდშაფტზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენს.

6.4. ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე

საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლა არ გამოიწვევს წყლის რესურსებზე დამატებით ზემოქმედებას, რადგან: არ იცვლება ტექნოლოგიური რეჟიმი, წარმადობა, გამოყენებული ნედლეული სახეობა და რაოდენობა და სხვა პარამეტრები.

ამდენად, საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლა არ გამოიწვევს ზედაპირული წყლის რესურსებზე ზემოქმედების გაზრდას.

6.5. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები

ბიტუმსავაძი რეზერვუარების მოწყობა ნარჩენების წარმოქმნის რაოდენობაზე ვერ იმოქმედებს, რადგან საწარმოს ექსპლუატაციის არანაირი პარამეტრი არ იცვლება.

6.6. ზემოქმედება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე

დამატებითი ბიტუმსაცავი რეზერვუარების მოწყობა და ინერტული მასალების ბაქნების გადანაცვლება არ მოახდენს გავლენას სატრანსპორტო ნაკადებზე, რადგან არ არის დაკავშირებული დამატებით გადაზიდვებთან. აღნიშნულით არ ხდება დამატებითი ტვირთის (ნედლეულის ან მასალების) შემოტანა/გატანა.

6.7. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

საწარმოს გავლენის ზონაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ არსებობს და აქედან გამომდინარე მათზე რაიმე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

6.8. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

საწარმოს ტერიტორიაზე დამატებითი ბიტუმსაცავის მოწყობით სოციალურ გარემოზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, რადგან არ ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს, არ იწვევს წარმადობის ცვლილებას, შესაბამისად არ ცვლის საწარმოს ეკონომიკურ მდგომარეობას.

6.9. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე

ბიტუმსაცავი რეზერვუარების დამატებით ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების რისკის მომატება მოსალოდნელი არ არის.

ასფალტის ქარხანა შედის მომეტებული საფრთხის შემცველი მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალში, ამიტომ საწარმოში მიღებულია ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფის განსაკუთრებული ზომები. საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, შესაბამისად საწარმოს ყავს შრომის უსაფრთხოების ინჟინერი, რომელიც საწარმოს მთელ ტერიტორიაზე უზრუნველყოფს კანონით გათვალისწინებული წესებისა და მოთხოვნების დაცვას.

6.10. კუმულაციური ზემოქმედება

საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლით კუმულაციური ზემოქმედების გაზრდას ან შემცირებას ადგილი არ ექნება, რადგან არ იცვლება საწარმოს წარმადობა, მუშაობის გრაფიკი, სამუშაო საათები და სხვა პარამეტრები.

ამდენად ბიტუმის სამარაგო რეზერვუარების დამატებით, ინერტული მასალების ბაქნებისა და სანიაღვრე წყალშენკრები არხის გადანაცვლებით კუმულაციური ზემოქმედება არ გაიზრდება.

დაწარტები

დანართი 1. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF GEORGIA

საქართველო, 0114, თბილისი, გუგუას ქ. 6, ტელ: 272-72-00, 272-72-20 ფაქსი: 272-72-37

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა პროექტზე

№ 43

5 აგვისტო 2015 წ.

1. საერთო მონაცემები

2. საქმიანობის დასახელება – ასფალტის წარმოება
3. საქმიანობის განმახორციელებლის დასახელება და მისამართი – შპს „ნიშნული“, წყალტუბოს რაიონი, სოფელი ზედა მესხეთი.
4. საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა – წყალტუბოს რაიონი, სოფელი ზედა მესხეთი.
5. განაცხადის შემოსვლის თარიღი – 22.07.2015 წ.
6. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ – შპს „ეკოლცენტრი“.

II ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებები

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით, შპს „ნიშნული“-ს მიერ ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ასფალტის წარმოების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

გზმ-ს ანგარიშის თანახმად:

საწარმო მდებარეობს ქალაქ წყალტუბოს მინიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთში, წყალტუბოდან სამხრეთ – აღმოსავლეთით 15 კმ-ზე. საწარმოს ტერიტორია 2000მ² შპს „ნიშნული“-ს საკუთრებაა, რაც დასტურდება საქარო რეესტრის ამონაწერით (საკადასტრო კოდი № 29.12.38.457).

გზმ-ს ანგარიშში განხილულია საწარმოს განთავსების რაიონის და უშუალოდ საწარმოს განთავსების ტერიტორიის გარემოს არსებული მდგომარეობა. კერძოდ, კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობები, გეომორფოლოგია და გეოლოგიური პირობები, ჰიდროგეოლოგია, ჰიდროლოგია, ფლორა და ფაუნა.

საწარმოს განთავსების ტერიტორიაზე ჩატარებული კვლევის შედეგად რაიმე სახის საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარების ნიშნები არ გამოვლენილა. საქართველოს სეისმური დარაიონების მიხედვით, საკვლევი უბანი შედის 8 ბალიან სეისმურ ზონაში. რეგიონისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი რადიაციული ფონი შეადგენს 11-13 მკრ/სთ-ს. საწარმოდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაცილებულია 1200 მეტრით.

საწარმოს განთავსების ტერიტორიაზე არ არის წარმოდგენილი მცენარეული საფარი. ფაუნისტური თვალსაზრისითაც, ტერიტორია არ ხასიათდება განსაკუთრებული ღირებულებით.

საწარმოს საქმიანობის მიზანია სხვადასხვა ასფალტბეტონის ნარევის წარმოება, რისთვისაც იგეგმება უცხოური წარმოების „CESAN“-ის ფირმის დანადგარის მონტაჟი, რომლის წარმადობაა 120 ტ/სთ-ში.

საწარმო მუშაობს 260 დღე, 8 საათიანი სამუშაო დღის რეჟიმით. ასეთი პირობებით მუშაობის შემთხვევაში საწარმო წელიწადში გამოუშვებს 249 600 ტონა ასფალტს.

საწარმოში ინერტული მასალები (ქვიშა, ღორღი) შემოდის ავტომატური საშუალებით და იყრება ინერტული მასალების საწყობში. ქვიშა-ღორღიდან მასალების საწყობიდან ინერტული მასალები იყრება ასფალტბეტონის ქარხნის მიმღებ ბუნკერში, საიდანაც ის ლენტური ტრანსპორტიორით გადადის ინერტული მასალების საშრობ დოლში. საშრობ დოლში გამოშრობა-გადახეხვით ხდება მასალების დაქუცმაცება. ამ პროცესს თან სდევს მტვრის მნიშვნელოვანი რაოდენობით წარმოქმნა. მტვერდამჭერებით (სახელოებიანი ფილტრი) გამოცალკევებული მინერალური მტვერი გადაიტანება სპეციალურ საცავში, საიდანაც ისევ მიეწოდება შემრევ მოწყობილობას. აღნიშნულ მტვერდამჭერ სისტემაში ასევე ხდება ფილერების საცავებიდან გამოყოფილი მტვერი. გაცხელებული და გამომშრალი მასალა მიეწოდება ცხავეზუზე, სადაც ხდება მათი ფრაქციებად დაყოფა. შემდგომ სპეციალურ სასწორებზე წარმოებს მასალის დოზირება წინასწარ გაუწყლოებული და მუშა ტემპერატურამდე გაცხელებული ბიტუმი. არევის პროცესის დასრულების შემდეგ პროდუქცია გადადის ჩასატვირთ-განსატვირთ ბუნკერში, საიდანაც მზა პროდუქცია ავტოტრანსპორტით მიეწოდება მომხმარებელს.

ბიტუმის საწარმოში შემოტანა ხდება ავტოცისტერნებით და ისხმება ლითონის 8 ცალ, თითოეული 50 ტონა მოცულობის ბიტუმის მიწისზედა საცავებში. ბიტუმის გაცხელება ხდება საცავებში დამონტაჟებულ ბუნებრივ აირზე (30მ³/სთ) მომუშავე ღუმელებით.

ობიექტის ექსპლუატაციის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა არაორგანული მტვერი (SiO₂<20%), აზოტის დიოქსიდი, ნახშირბადის ოქსიდი, ნაჯერი ნახშირწყალბადები (C₁₂ - C₁₉).

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N408 დადგენილებაში მყვანილი საანგარიშო მეთოდის შესაბამისად განხორციელებული მავნე ნივთიერებათა გაზნევის ანგარიშის თანახმად, ობიექტის ექსპლუატაციის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია არ აჭარბებს ნორმით დადგენილ შესაბამის მნიშვნელობებს როგორც ობიექტიდან 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე, ისე უახლოეს დასახლებულ პუნქტთან მიმართებაში (1200მ).

ამიტომ მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების მიღებული რაოდენობები კვალიფიცირდება, როგორც უღვრულად დასაშვები გაფრქვევები.

საწარმოში წყლის გამოყენება ხდება სასმელ – სამეურნეო მიზნებისათვის. წყალმომარაგება მოხდება საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული წყალსადენის ქსელიდან, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის შესაბამის სერვისცენტრთან ხელშეკრულებით.

საწარმოს ტერიტორიაზე მოსალოდენელია როგორც საყოფაცხოვრებო, ასევე საწარმოო ნარჩენების წარმოქმნა. საყოფაცხოვრებო ნარჩენები განთავსდება საწარმოს ტერიტორიაზე დადგმულ კონტეინერებში და ხელშეკრულების საფუძველზე გატანილი იქნება რეგიონის კომუნალური დასუფთავების სამსახურის მიერ.

საბურავების, რეზინის ნაკეთობების და სხვა ელასტომერების ნარჩენები წარმოქმნის შემთხვევაში შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა ამ საქმიანობაზე სათანადო ნებართვის მქონე კონტრაქტორებს.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, უახლოეს დასახლებულ პუნქტთან ხმაურის დონის გადაჭარბებას ადგილი არ ექნება.

ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან ერთვის, გარემოსდაცვითი მონიტორინგისა და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა.

ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების შედეგად დადგენილი პირობები ასახულია წინამდებარე დასკვნის III თავში.

III. პირობები


საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია:


1. უზრუნველყოს საქმიანობის განხორციელება წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, მონიტორინგის გეგმის, შემარბილებელი ღონისძიებების, ვალდებულებებისა და რეკომენდაციების შესაბამისად.
2. საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლისთანავე აცნობოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს.
3. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში უზრუნველყოს ტექნოლოგიური მოწყობილობების და დანადგარის გამართული მდგომარეობაზე სისტემატიური კონტროლი.
4. ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში“ წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და, შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება.
5. გარემოზე ზემოქმედების ნებართვის სხვა პირებზე გადაცემის შემთხვევაში, ნებართვის გადაცემა განახორციელოს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის დადგენილი წესით.

IV. დასკვნა

შპს „ნიშნული“-ს მიერ, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით, ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ასფალტის წარმოების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით, საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ წინამდებარე დასკვნის III თავში გათვალისწინებული პირობების დაცვით.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების
დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ნინო ხარაზი
(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)



დანართი 2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-566

03/07/2020

ქ. თბილისი

შპს „ნიშნულის“ ასფალტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

2020 წლის 29 ივნისს სამინისტროს მომართა შპს „ნიშნულის“ დირექტორმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2015 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „ნიშნულის“ ასფალტის წარმოებაზე გაცემულია №43 (05.08.2015; წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ზედა მესხეთი) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2015 წლის №43 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საქმიანობის განმარტების დადგენილება ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

ამავდროულად ძალადაკარგულად ცხადდება „შპს „ნიშნული“-ს ასფალტის წარმოებაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 6 აგვისტოს №ი-610 ბრძანება, თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2015 წლის №43 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ნიშნულის“ ასფალტის წარმოებაზე გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა №43; 05.08.2015);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ნიშნული“-ს ასფალტის წარმოებაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 6 აგვისტოს №ი-610 ბრძანება;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ნიშნულს“;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნიშნულის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი